ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 312

“ 15 ” აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ, 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) შპს „ეკო მითისთვის“ (ს/კ: 404891612) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ, 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) შპს „ეკო მითისთვის“ (ს/კ: 404891612) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის №27.19.554 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ეკო მითისთვის“ (ს/კ: 404891612) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 200 (სამი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი